

ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ თუშეთში - „საოჯახო სასტუმრო ტიპის, ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინის“ საუკეთესო არქიტექტურული გეგმარებითი პროექტის სახელმწიფო შესყიდვის კონკურსის საშუალებით შესყიდვის შესახებ საკონკურსო კომისიის სხდომის

## ოქმი №2

ქ.ახმეტა

18.აპრილი.2011 წ

### საკონკურსო კომისიის წევრები:

- ა) კობა მაისურაძე (ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელი) ინჟინერ მშენებელი, კომისიის თავმჯდომარე;
- ბ) ვანო ნასყიდაშვილი (ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე) პიდრო-მშენებელი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- გ) საშა ჭოლოკიძე (ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრი)-იქთიოლოგი კომისიის წევრი.
- დ) ნუგზარ ილოიძე-(ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი)-გეოგრაფი-კომისიის წევრი;
- ე) გივი შორთიშვილი, ეკონომიკის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი არქიტექტორი- კომისიის წევრი;
- ვ) კობა ნამორაძე (ეკონომიკის სამსახურის განყოფილების გამგე)-ინჟინერ მშენებელი კომისიის წევრი;
- ზ) არსენ ბუღრიძე 9საფინანსო სამსახურის უფროსი)-ფინანსისტი- კომისიის წევრი
- თ) ტელმან იჭირაული -(თუშეთის რწმუნებული)-ეკონომისტი, კომისიის წევრი
- ი) ანზორ გოგოთიძე-თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დირექტორი, მოწვეული წევრი

### დღის წესრიგი:

ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ თუშეთში - „საოჯახო სასტუმრო ტიპის, ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინის“ საუკეთესო არქიტექტურული გეგმარებითი პროექტის სახელმწიფო შესყიდვის კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე 2011 წლის 1 აპრილს გამოცხადებულ №21 კონკურსში კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების შერჩევა.

### მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ 2011 წლის 16 აპრილის ჩათვლით შემსყიდველ ორგანიზაციაში საკონკურსო წინადადება არ წარმოადგინა არცერთმა კონკურსანტმა.

### აზრი გამოთქვას:

გამომდინარე იქიდან, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ თუშეთში - „საოჯახო სასტუმრო ტიპის, ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინის“ საუკეთესო არქიტექტურული გეგმარებითი პროექტის სახელმწიფო შესყიდვის კონკურსის








საშუალებით შესყიდვის პროცედურაში არცერთმა კონკურსანტმა არ მიიღო მონაწილეობა, შესაბამისად აღნიშნული კონკურსი არ შედგა.

საკონკურსო კომისიის წევრები დაეთანხმნენ ზემოაღნიშნულს.

**დაადგინეს:**

ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ თუშეთში „საოჯახო სასტუმრო ტიპის, ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინის“ საუკეთესო არქიტექტურული გეგმარებითი პროექტის სახელმწიფო შესყიდვის კონკურსის საშუალებით შესყიდვის კონკურსი არ შედგა.

სხდომის თავმჯდომარე:

 კობა მაისურაძე  
 ვანო ნასყიდაშვილი  
 საშა ჭოლოკიძე  
 ნუგზარ იდორიძე  
 გივი შორთიშვილი  
 კობა ნამორაძე  
 არსენ ბულრიძე